ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 1

ქ. ლანჩხუთი

16.02.2022
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**
კომისიის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, გივი ცინცაძე,
მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიუდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, გოჩა ჯანაშია.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

5. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსხურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიუდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ხელფასები წლების განმავლობაში არ გაზრდილა. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში ფუნქციონირებს ორი განყოფილება (საორგანიზაციო განყოფილება; სამდივნო განყოფილება), რომელთა ხელმძღვანელის ხელფასები წარმოდგენილ დადგენილების პროექტში არის განსხვავებული, რაც დარღვევად მიაჩნია. კომისიამ იმსჯელა საკითხთან დაკავშირებით და დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით; კერძოდ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მოხდეს ჩასწორება და გათანაბრდეს ორივე განყოფილების ხელმძღვანელის ხელფასი.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საბაზისო განაკვეთი, შრომის ანაზღაურების, გახდა 1000 ლარიდან 1100 ლარი. ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ცხრილში წარმოდგენილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების ხელფასების დაანგარიშება, რაც წარმოდგენილია საშტატო ნუსხაში. ყველა რანგს მოემატა ხელფასები ისე, რომ რანგებს შორის სხვაობა ზომიერია. მერიის საშტატო ნუსხით არის 86 პროფესიული საჯარო მოხელე, რომელთა ხელფასების მატება დროული და მიზანშეწონილია.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აცანაში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ 1911.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.02.42.321) აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი. აღნიშნული უძრავი ქონება, მისი ფუნქციური დანიშნულების განხორციელების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გადაეცეს ა(ა)იპ ,,სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“, (ს/ნ 233732565), რომელიც შეძლებს მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, (2007 წელს გამოშვებული ავტობუსი PAZ 4234-00-ს სახელმწიფო ნომრით MAO-771 და

2007 წელს გამოშვებული ავტობუსის PAZ 4234-00-ს სახელმწიფო ნომრით MAO-772) რომელიც შეფასებულია შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: / ზაზა წულაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №1

16.02.2022 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N 18 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: .,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

16.02. 2022 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
3	კარლო კვიტაიშვილი		
4	გიორგი იმნაიშვილი	10.58	
5	ვლადიმერ ნანაძე		
6	გიორგი ჩახვაძე	10 58	
7	გივი ცინცაძე	11 00	
8	კახაბერ ასკურავა		
9	გოჩა ჯანაშია		